

არაკომერციული გამომცემლობა საგა

ჯიბის ნიგნის სერია 1

მედია – კულტურა – საზოგადოება

ჰანს ბელერი, დაბადებული 1947 წელს, დაამთავრა ტელევიზიისა და კინოს უმაღლესი სკოლა, ფლობს ფსიქოლოგის დიპლომს (სადიპლომონობრივი – „ფილმის აღქმა კინომონტაჟის მაგალითების საფუძველზე“). 30 წელიწადზე მეტია იღებს დოკუმენტურ ფილმებს. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ასწავლის კინომონტაჟის სპეციალობას. გამოსცა კინომონტაჟის სახელმძღვანელო (ბოლო, მეხუთე გამოცემა, 2007 წელი). 1991 წლიდან არის პროფესორი სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. 2001 წლამდე იყო კინომეცნიერების პროფესორი კარლსრუეს უმაღლეს სკოლაში (ZKM); 2008 წლამდე იყო ტელეპრაქტიკის პროფესორი კიოლნის მედიის ხელოვნების უმაღლეს სკოლაში (KHM); ხშირად არის მიწვეული დოცენტად სხვადასხვა გერმანულ კინოსკოლებში. არის უმაღლეს კურსდამთავრებულთა ARD-ZDF-ის ტრენერი. მისი კრიტიკული სტატიები კინომონტაჟზე იძექდება სხვადასხვა უურნალებში. გამოცემული აქვს არაერთი წიგნი კინომონტაჟსა, კინოს ისტორიასა და ტელევიზიაზე.

პიროვნეულის ასახური

ერთგვარი შესავალი

ჰანს ბელერი

თბილისი, 2009

ტექსტის სათაური ორიგინალში:
Aspekte der Filmmontage – Eine Art Einführung

ტექსტი იბეჭდება შემდეგი გამოცემის მიხედვით:
Handbuch der Filmmontage: Praxis und Prinzipien des
Filmschnitts. hrsg. von Hans Beller. München: TR-Verlagsunion,
1993, 2002

თარგმანი გერმანულიდან:	დევი დუმბაძე
რედაქტორი:	რუსუდან ასათიანი
გარეკანის დიზაინი:	სანდრო ასათიანი
დაკაბადონება და	
გამომცემელი:	სოსო დუმბაძე



მესამე გამოცემა, 2009
ISBN 978-9941-0-1359-1
ყველა უფლება დაცულია

© არაკომერციული გამომცემლობა საგა, 2009
www.sa-ga.org

სარჩევი

მთარგმნელის წინასიტყვაობა.....	7
ავტორის წინასიტყვაობა.....	13
კინომონტაჟის ასპექტები	
შესავალი.....	19
სამონტაჟო ერთეულები.....	22
მონტაჟის ევოლუცია აჩქარებულ კადრში ..	29
180 გრადუსის პრინციპი.....	39
„უწყვეტობის“ კონცეფცია.....	47
კულეშოვის ექსპერიმენტები.....	52
მონტაჟის მოდელები და	
მათი კლასიფიკაციის მცდელობანი	59
შენიშვნები	81
კადრის სიზღვეთა სძენა	
ადამიანის სხეულთან მიმართებაში	93
ლექსიკონ.....	95

მთარგმნების ნინასიტყვაობა

გეცოდინებათ კადრი სატელევიზიო რეკლამიდან: ერთ-ერთი ბრაზილიელი ფეხბურთელი დარბაზში ათამაშებს ბურთს მისთვის ჩვეული მოხდენილი ილეთებით. კადრი იცვლება და მსგავს დარბაზში, მსგავს სათამაშო სიტუაციაში ვხედავთ იმავე მოთამაშეს, ოღონდ ოციოდე წლით ადრე. იგი ჯერ კიდევ ბავშვია, ბურთს კი იმავე მოხდენილობითა და ილეთებით უძვრენს მეტოქის მეკარეს ფეხებს შუა. არც თუ ისე ბევრს ეცოდინება, რომ აქ გამოყენებულია ფართოდ გავრცელებული სამონტაჟო ხერხი და მას „match cut“-ი, ანუ „შეჯერებული ჭრილი“ ეწოდება. სწორედ ეს სამონტაჟო ხერხი, ფორმალურ უწყვეტობათა საფუძველზე, აკავშირებს ერთმანეთთან ოცინლისნინდელსა და დღევანდელ მოთამაშეს. იგი ქმნის იმ კონოტაციასაც, თითქოს ის საფირმო მარკა, რომელსაც რგოლი რეკლამას უკეთებს, ისევე „უბერებელი“ და „მარადიული“ იყოს, როგორც წლების განმავლობაში ამ მოთამაშის უცვლელი ილეთები და მისი ბავშვური ღიმილი.

ასეთ და მსგავს სამონტაჟო ხერხებს ყოველ-დღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა მედიასთან ურ-თიერთობისას ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით. მაგალითად, რეალითი-შოუ „ჯეობარის“ შემაჯამებელ გადაცემებს აშკარად, ე.წ. „ელიფ-სური“ სამონტაჟო სტრუქტურა აქვთ. ბევრ კარგად ნაცნობ კინოფილმში, მაგალითად, „შე-სანიშნავი შვიდეულის“ ფინალური შეტაკების ეპიზოდში, ე.წ. „cross-cutting“-ის მონტაჟი გამოიყენება. ტელესერიალები კი საერთოდ ნარ-მოუდგენელია „კადრი/საპირისპირო კადრის“ თანმიმდევრობის უსასრულო სერიათა გარეშე. (ამ ტერმინთა განმარტებანი იხ. წინამდებარე გამოცემის ტექსტში.) შეიძლება არ ვიცოდეთ, ზუსტად რა ენოდება მონტაჟის ამა თუ იმ ნე-სებსა და ჩვევებს, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში ყალიბდებოდნენ, მიუხედავად ამისა, ისინი იმდენად თავისთავად ცხადნი და ჩვეულნი გახდნენ ჩვენთვის, რომ მათ არსებობას თითქოს ვეღარც კი ვამჩნევთ. არა-და, სხვადასხვა მედიაში – კინოთეატრში ფილმის ყურებისას, ტელევიზორით ახალი ამბების თვალყურის დევნებისას თუ კომპიუტერით, ვთქვათ, ე.წ. „ეგო-შუტერის“ თამაშის დროს – მოძრავ გამოსახულებათა თანმიმდევრობა და სტრუქტურა სწორედ ამ ჩვენთვის „უხილავი“ სქემებით ფორმდება. ეს ნესები და სქემები

აწესრიგებენ იმას, რაც ხილვადია, ქმნიან კონფაციებს, იძლევიან ინტერპრეტაციებს და, შესაბამისად, მართავენ იმას, თუ რას და როგორ აღვიქვამთ ჩვენს მედიურად გაშუალებულ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ჰანს ბელერის ტექსტის გამოცემა სწორედ იმის მოკრძალებულ მცდელობას წარმოადგენს, რომ მზერა მივმართოთ ამ ჩვენთვის ასე ნაცნობ და უშუალო ფორმებზე და ყურადღება გავამახვილოთ ამ ფორმების ჩამოყალიბების ისტორიულ პროცესსა და გაშუალებულობაზე. ტექსტს შესავლის ხასიათი აქვს, სადაც მოკლედ, კინოს ისტორიიდან თვალსაჩინო მაგალითების მოშველიებით, არის მიმოხილული კინომონტაჟის განვითარების გზა და ძირითადი მოდელები. პრაქტიკოსებისთვის და იმ მკითხველთათვის, ვისაც თავად ჰქონია შეხება მონტაჟთან და, შესაძლოა, სამონტაჟო მაგიდასთანაც მჯდარა, ეს ტექსტი კიდევ ერთი საშუალება იქნება მონტაჟის სხვადასხვა მოდელის სისტემატიზაციისათვის. ამავე დროს, იგი თავს უყრის კინოს უკვე ას წელიწადს გადაცილებული ისტორიის განმავლობაში მონტაჟის სფეროში დამკვიდრებულ, დიფერენცირებულ გერმანულ და ინგლისურენოვან ტერმინოლოგიას. ამ ტერმინოლოგიური ასპექტის თვალსაჩინოდ წარმოსადგენად ტექსტს ბოლოში ძირითად

ტერმინთა მცირე ლექსიკონიც დავურთეთ. მისი გადახედვითაც მკითხველმა, შესაძლოა, ხელახლა აღმოაჩინოს ის, რაც მისთვის უკვე კარგად ნაცნობი იყო, მხოლოდ სხვა სახელით: საქართველოში ხომ კინოს წარმოება მე-20 საუკუნის განმავლობაში ძირითადად არანაკლებად მდიდარ რუსულ და საბჭოურ ტრადიციასთან ურთიერთობასა და გაცვლა-გამოცვლაში ვითარდებოდა, რის გამოც შესაბამისი პრაქტიკული სფეროს სპეციალური ენა სწორედ ამ ურთიერთობის პროცესში ჩამოყალიბდა. ამავე დროს, მკითხველმა შეიძლება ტერმინებსა და მათ მიერ აღნიშნულ ხედვის ნესებში არსებითი განსხვავებანიც დაადგინოს და თავისთვის ახალიც აღმოაჩინოს.

ტექსტის გამოცემა მომზადდა ჰანს ბელერის მიერ 2006 წლის სექტემბერში „გოეთეს ინსტიტუტის“ თბილისის ფილიალში ჩატარებული ვორკ-შოპისათვის, რომელიც მონტაჟის თეორიასა და ისტორიას ეძღვნებოდა. ვორკშოპი ძირითადად კინო და ტელესასწავლებელთა და ხელოვნების სკოლათა სტუდენტებისა და სპეციალისტებისთვის იყო ორგანიზებული. მიუხედავად ამისა, ვიმედოვნებთ, რომ ტექსტი არა მარტო ამ წრეების წარმომადგენლებს დააინტერესებთ. მართალია, მასში კინომონტაჟის ძირითად ფორმებსა და წესებზეა საუბარი, მაგრამ რამდენადაც დღეს, ციფ-

რულ ტექნოლოგიათა განვითარებასთან ერთად – რაც მათ, გარკვეული აზრით, უფრო ხელმისაწვდომსაც ხდის – ეს ფორმები და ნესები უკვე იმდენად ფართოდ გამოიყენება პროფესიულსა თუ კერძო სფეროებში, რომ, იმედი გვაქვს, ტექსტი კინოთი და ვიზუალური კულტურით დაინტერესებულ პირთა ფართო წრესაც გამოადგება. თუ ეს წიგნი მონტაჟის ასპექტებში ჩაღრმავების იმპულსებსაც აღძრავს, მისი დანიშნულება სრულად იქნება შესრულებული.

პირველი გამოცემის გამოქვეყნება შესაძლებელი გახდა „თბილისის გოეთეს ინსტიტუტის“ ხელშეწყობით.

პანს ბელერს მადლობას ვუხდით ამ ტექსტის თარგმნისა და გამოქვეყნების უფლებისათვის.

დევი დუმბაძე

ԱՅՖՐԻՌՈՍ ԵՌԵԱՍՌՈՒՅՆԱՐԺԱ

Տայարտչելուստան 35 նվուն նոն մեռլող եան-մոկլց, մշտեզեզուտո նապնօքան մյոնդա, տում-ցա տծոլուսո დա տծոլուսամդյ մագրարյեծլուտ ցա-ցլուլո ց թա մաս մշմդյց ալար դամզոնցյեծիա. մաժն զինուշուլուս სթուգենցու զոյացո დա հիմե մեցոնարտան յրտագ եցալուգան, ոնքուտուգան, ձայուսուցան, ազլանցուգան, սպարսետուգան սած-ժկուտա կազմուրուս ցացլուտ մունեյնի զծրունցյ-ծուցո. Տայարտչելուն համուշուլմա շեցրագ մշցոցընու նցոմուն դլցյ ցոտլուզան եյ-տա սյուրնելու, աხալցածրդա յալուտա ցնունու-մոցարյ մթերա, րոմլուցու դրուգագրո ցուտ-ցալուցալցեցնեն դա ծուլուս հոնեցուլո յարտու-լո յոնուայուտաց ցացցոմասնոնցլունցնեն. տաշ ույ ցցրմնուցուտ, տույշուս սաելուն ցցուլուցուտ.

յարտուլո ցուլմեծո կո ցացուլուցուտ շոյրո ցու-ան, 1990 նվուն գուգուցոյշուրո ցարգաթյեեց-ծուս մշմդյց վնաեց. շսամարտլո ոյնեցուցա, տույո աելա մշտեզեզուտ համոցուցլուցու ցուլմեծուս սա-տայրյեծսա դա րոշուսորյեծուս սաելցյեծս. մատաց

საუცხოოს და, იმავდროულად, ნაცნობის შთა-
ბეჭდილება დატოვეს.

„თავისებურება სათნოებაა“, უთქვამს ჰერმან
ჰესეს, ჩემი მშობლიური მხარიდან რამდენიმე
კილომეტრის დაშორებით გაზრდილ მნერალს.
ქართულ ფილმებს თავისებური სტილი აქვთ.
ჩემთვის დიდი სიხარული იქნებოდა, თუკი ისინი
თხრობის ტექნიკათა, კინოს სახვით საშუალე-
ბათა და კინომონტაჟის ინტერნაციონალიზაციის
პერიოდში თავიანთ თავისებურებას შეინარჩუნე-
ბდნენ.

კინომონტაჟის შესახებ ჩემს განაზრებებში შე-
ვეცადე წარმომეჩინა და გამეანალიზებინა სა-
ერთაშორისო მოდელები და სქემები, რომლები-
თაც აფორმებენ და ამონტაჟებენ ფილმებს. კი-
ნომონტაჟის ნორმატიულ ესთეტიკას კი, ურყე-
ვი სახით დადგენილი წესებით, აკრძალვებითა
და მარადიული რეცეპტებით, მე არ ვიზიარებ.
ხელოვნებაში ნებადართულია აღრევა და გაუც-
ხოება. მონტაჟის სტრუქტურები ლია მოდელებს
წარმოადგენენ, რომელნიც შეიძლება შემოქ-
მედებითად ხელახლა გავაფორმოთ და გადავა-
სხვაფეროთ, რასაც დღეს ხშირად ვხვდებით
კიდეც. მონტაჟის სტანდარტები, კონვენციე-
ბი, რომლებიც კინოსა და ტელეინდუსტრიაში

რისკის მინიმუმამდე დასაყვანად შემუშავდა, მერკანტილური მეთოდური წნებისაგან თავის-უფლდება. მრავალი რამ გარდატეხვის პროცე-სშია: გლობალური პოლიტიკა, ციფრული ტექ-ნოლოგიური ტრანსფორმაცია, კინოჟანრთა ურთიერთგამსჭვალვა. ამ ყველაფრისაგან არც კინომონტაჟია დაზღვეული. როგორც კინოს ცენტრალურ სახვით საშუალებას, მასაც წაე-ყენება ახალი მოთხოვნები და ისიც კვლავაც მძაფრ მომენტებს წარმოშობს ტელევიზიისა და კინოს განცდაში.

იმედია, ჩემი წიგნი ამ პროცესში თავის წვლილს შეიტანს. დიდი პატივისცემითა და კეთილგან-წყობით მადლობას ვუხდი დევი დუმბაძეს თარ-გმანისათვის და გაოცებული ვრჩები, რომ ჩემი ნაწერები საუცხოო დამწერლობაზე გამოდის, რომლითაც შემიძლია მხოლოდ გარეგნულად დავტკბე, წაკითხვით კი ვერ წავიკითხავ.

პანს ბელერი
კელნი, ივლისი 2006

კიბომონტაჟის ასპექტები

ერთგვარი შესავალი

კულტოვის ექსპრიმენტები

მონტაჟის სფეროში კინემატოგრაფიული ექსპერიმენტები სისტემური სახით პირველად ლევ კულემოვმა განახორციელა.³⁰

ორიოდე სიტყვა მისი პიროვნების შესახებ: ლევ ვლადიმირის ძე კულემოვი დაიბადა 1899 წელს ქალაქ ტამბოვში, მოსკოვის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ათი წლის ასაკში საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა და იქვე გარდაიცვალა 1970 წელს, 71 წლის ასაკში. თავდაპირველად იგი მხატვარი იყო, შემდეგ ევგენი ბაუერთან ფილმის სამხატვრო გამფორმებლად და ასისტენტად მუშაობდა. 1917 წლიდან მან რეჟისორობა დაიწყო, ხოლო 1918-1919 წლებში წითელ არმიაში მუშაობდა ოპერატორად. 1920 წელს კულემოვმა 1919-ში დაარსებულ მსოფლიოში პირველ მოსკოვის უმაღლეს კინოსასწავლებელში საკუთარ კლასთან ერთად სახელოსნოებში სწავლება დაიწყო. ამ კლასის ვიწრო წრეს ეკუთვნოდა, მაგალითად, პუდოვკინი, ფაკულტატისტიური კურსის დამსწრეთა შორის კი თეატრისა და ლიტერატურის სფეროებიდან, სხვებთან ერ-

თად, ეიზენშტეინიც იმყოფებოდა. კულეშოვი დარწმუნებული იყო, რომ მეცნიერული გამოთვლების მეშვეობით შესაძლებელია კინომწარმოებლის მხატვრული შემოქმედების მართვაც.³¹

კულეშოვი თავის ექსპერიმენტებთან ორმა ძირეულმა დაშვებამ მიიყვანა. ჯერ ერთი, მისთვის კინოროლის შემსრულებელი არა მსახიობი, არამედ ორგანული „კინომოდელი“ იყო, რომელიც ემოციისა და მოტორიკის სპეციალური განვრთნის შედეგად „სრულყოფილი ტექნიკური მექანიზმის“ სახით შეძლებდა ფუნქციონირებას. მეორე ძირეული განაზრება უშუალოდ მონტაჟს ეხებოდა: „ფილმის არსი არა გადაღებულ ფრაგმენტთა საზღვრებში, არამედ ამ ფრაგმენტების გადაბმაში უნდა ვეძიოთ.“³² 1928 წელს კულეშოვმა ისიც კი განაცხადა, რომ „უმნიშვნელოა, თუ როგორ გადავიღებდით კადრებს; მთავარია, თუ როგორ მოვახდენდით მათ დამონტაჟებას.“³³

მისი სამონტაჟო ექსპერიმენტები ადვილად ააღნიშვნის ნიტროფირზე აღიბეჭდა. ეს ფირები, სავარაუდოდ, მეორე მსოფლიო ომის დროს დაიწვა და, ამდენად, ისტორიული კვლევისათვის ისინი მიუწვდომელია, ყოველ შემთხვევაში, მათი ასავალ-დასავლისა არავინ უწყის. ექსპერიმენტთა ზეპირმა აღნერებმა კი მრავალი განსხვავებული

წარმოდგენა წარმოშვა, რამაც თავად ოსტატი ლა-
მის ჭკუიდან გადაიყვანა: „კინოისტორიკოსებმა და
მემუარისტებმა იმდენად აურ-დაურიეს მონაცე-
მები, რომ ხანდახან უბრალოდ წარმოუდგენელია
მათგან რაიმე აზრის გამოტანა. ზოგჯერ ეჭვიც
კი მეპარება, ვინ ვიყავი, ან ვინ ვარ ასეთი, ეს ლევ
კულეშოვი ...“ – წერდა იგი 1966 წელს ერთ-ერთ
წერილში.³⁴

კულეშოვის ექსპერიმენტული პროგრამის შესახებ
არსებული წყაროების სიჭრელის გათვალისწინე-
ბით, ზედმეტ მარჩიელობაში რომ არ გადავიჭრათ,
ქვემოთ მოცემულ გადმოცემაში მხოლოდ თავად
კულეშოვის განცხადებებს დავეყურდნობით.

„შემოქმედებითი გეოგრაფიის“ ექსპერიმენტი

„თამაშობდნენ ხოხლოვა და ობოლენსკი, რომლე-
ბიც ამგვარად გადავიღეთ: ხოხლოვა მისეირნობს
პეტროვკაზე, მოსტორგის უნივერმალთან; ობო-
ლენსკი, სამი ვერსტის დაშორებით, მოსკვას საგუ-
ბართან დაიარება. ისინი დაინახავენ ერთმანეთს,
უღიმიან და უჩქარებენ სვლას ერთმანეთთან შეს-
აგებებლად. შეხვედრის მომენტი პრეხეტენსკის
ბულვარზე გადავიღეთ, რომელიც მოსკოვის მეორე
კიდეზე მდებარეობს. შემდეგ ისინი ხელს ართმე-

ვენ ერთმანეთს გოგოლის ძეგლთან (მეოთხე ლოკაცია). ამ დროს მზერას აპყრობენ რაღაცას, რაც ეკრანის გარეთ მდებარეობს – და აქ ვაჩვენებთ კადრს ერთ-ერთი ამერიკული ფილმიდან: თეთრი სახლი ამერიკაში. ... არავითარი ილეთი და არავითარი ორმაგი ექსპოზიცია აქ არ გამოგვიყენებია; ამ შედეგს მხოლოდ და მხოლოდ ნედლი მასალის შეერთებითა და კინემატოგრაფიული მეთოდებით მივაღწიეთ ... პირველ ექსპერიმენტში თვითხებურად შევქმენით საკუთარი გეოგრაფია, რომელიც ერთიანი, უწყვეტი მოქმედების სცენად იქცა.“³⁵

„იდეალური ქალის“ ექსპერიმენტი

„პირველ ექსპერიმენტში ჩვენი საკუთარი გეოგრაფია შევქმენით, რომელშიც უწყვეტი მოქმედება თამაშდებოდა. მეორე ექსპერიმენტში კი შევინარჩუნეთ როგორც უცვლელი ფონი, ისე უცვლელი მოქმედება, მაგრამ ახლა თავად მოქმედი პირები შევადგინეთ ახლებურად. მე „გადავიდე“ გოგონა: იგი ზის სარკესთან, იხატავს თვალებს და წამნამებს, ილამაზებს ტუჩებს და იკრავს თასმებს. მხოლოდ მონტაჟის საშუალებებით ჩვენ ვაჩვენეთ გოგონა, რომელიც სინამდვილეში არსად არ არსებობს: ტუჩები ერთი ქალისა გადავიდეთ, ფეხები – მეორის, ზურგი – მესამის, თვალები კი მე-

ოთხისა. ეს კადრები მათ შორის გარკვეული მი-
მართების დაცვით დავუკავშირეთ ერთმანეთს.
ამით აბსოლუტურად ახალი პიროვნება მივიღეთ,
აბსოლუტურად რეალური მასალის გამოყენებით.
ამ მაგალითმა ცხადყო, რომ კინემატოგრაფიული
ზემოქმედების მთელი ძალა მონტაჟში მდგომა-
რეობს. სხვაგან ვერსად ვერ მივაღწევთ უბრალო
ნედლი მასალით ასეთ სრულიად მოულოდნელ და
ერთი შეხედვით დაუჯერებელ შედეგებს. ასეთი
რამ კინოს გარდა არც ერთ სხვა სახვით ფორმაში
არაა შესაძლებელი, თანაც შედეგს არა ილეთებით,
არამედ მხოლოდ და მხოლოდ კინომასალის ორგა-
ნიზაციით ვაღწევთ ...”³⁶

„კულეშოვის ეფექტის“ შესახებ

„ეს ექსპერიმენტი ასე გამოიყურებოდა: ავიღე
კადრები ძველი ფილმებიდან მსახიობ მოზურები-
ნის მონაწილეობით და ისინი რამდენიმე განსხვა-
ვებულ კადრს დავუკავშირე. თავდაპირველად ვი-
თომ მოზურებინი ციხეში ჩავსვი, შემდეგ იგი ვითომ
მზით, ლანდშაფტითა და ხელახლა მოპოვებული
თავისუფლებით ტკბება. კიდევ ერთ კომბინაციაში
მოზურებინი უცვლელ პოზაში დავსვი, სახის უცვ-
ლელი გამომეტყველებით, და ნახევრადშიშველი
ქალისკენ მივაპყრობინე მზერა, კიდევ ერთ კომ-

ბინაციაში კი ბავშვიანი კუბოსკენ. – რაღა არ ვცა-დეთ! – ბევრი სხვადასხვა კომბინაცია გვქონდა ... სწორედ ესაა ექსპერიმენტი, რომელიც „კულეშოვის ეფექტის” სახელით გახდა ცნობილი. ^{“³⁷}

დაბოლოს, კულეშოვი თავის კიდევ ერთი, მეოთხე ექსპერიმენტის შესახებ.

მეოთხე ექსპერიმენტი

„ჩვენ განსხვავებული მოსაზრებები გვქონდა იმის თაობაზე, თუ რამდენად მჭიდროდაა დაკავშირებული მსახიობის თამაშის ფსიქოლოგიური წესი მონტაჟთან. ზოგიერთი ჩვენგანი ამტკიცებდა, რომ თამაშის წესის შეცვლა მონტაჟის მეშვეობით შეუძლებელია. ერთ-ერთ გამოჩენილ კინომსახიობს, რომელიც ასე ფიქრობდა, ვუთხარით: „წარმოიდგინეთ ასეთი სცენა: ციხეში მყოფ მოშიმშილე კაცს მიართმევენ ჯამს წვნიანით; მის ბედნიერებას საზღვარი არ აქვს და იგი წვნიანს ერთბაშად სანსლავს. მეორე სცენა: ახლა პატიმარი მაძღარია, მაგრამ ოცნებობს თავისუფლებაზე, ჩიტებზე, მზეზე, სახლებსა და ღრუბლებზე; კარი იღება და, თავისუფლებაზე გაღწეული, იგი ხედავს ყველაფერ იმას, რაზეც ოცნებობდა. მსახიობს ვკითხეთ: „განსხვავებული იქნება თუ არა სახე, რომელიც

წვნიანზე ახდენს რეაგირებას იმ სახისაგან, რო-
მელიც მზეს უყურებს?“ მან შეურაცხყოფილად
გვიპასუხა: „რა თქმა უნდა, განსხვავებული! შეუძ-
ლებელია, ვინმე წვნიანსა და თავისუფლებაზე
ერთნაირად რეაგირებდეს!“ ამის შემდეგ ჩვენ ეს
ორი კადრი გადავიღეთ – და სულერთი იყო, რამ-
დენჯერაც არ უნდა გადამეადგილებინა ეს კადრე-
ბი, ან რამდენ ადამიანსაც არ უნდა ენახა ისინი –
ვერავინ ვერ პოულობდა ვერავითარ განსხვავებას
მსახიობის სახის გამომეტყველებაში, მიუხედავად
იმისა, რომ მან ორივე რეაქცია აბსოლუტურად
განსხვავებულად ითამაშა. მსახიობის წარმოდგე-
ნა მაყურებლამდე იმ სახით აღწევს, რა სახითაც
ამას მისი მემონტაჟე ითხოვს. მაყურებელი თავად
ავსებს კადრების მიმდევრობას და მათში იმას ხე-
დავს, რაც მას მონტაჟმა შთაუნერგა.“³⁸


- 28 Joachim Paech, Literatur und Film, Stuttgart 1988, S. 20 f.
- 29 იბ. Oksana Bulgakowa, Montagebilder bei Sergej Eisenstein, S.49:), in: Hans Beller (Hrsg.) Handbuch der Filmmontage, München, 2002
- 30 იბ. Hans Beller, Montageexperimente an der HFF München, S.155 და Hans I. Wulf, Der Plan macht's - Wahrnehmungs-psychologische Experimente zur Filmmontage S. 178, დასახ. ნაშრ.
- 31 იბ. Vance Kepley, Jr., The Kuleshov Workshop, in: Iris, A Journal of Theory on Image and Sound, 'The Kuleshov Effect', Vol. 4, Nr. 1, Sommaire 1986, S. 6 f.
- 32 იბ. Matthias Rüttmann, Thema - Retrospektive Lew Kuleschow. Ein „Amerikaner“ in Moskau, in: Zoom, 42. Jahrgang, 18./19. September ,90.
- 33 იბ. Ronald Levaco (Hrsg.), Kuleshov on Film - Writings by Lew Kuleshov, Berkeley, Los Angeles, London 1974, S. 48.
- 34 იბ. Steven P. Hill, Kuleshov. Prophet without honour?, in: Film-culture, Nr. 44, Spring 67. წერილის ადრესატი ჰილი იყო. ჰილმა ეს წერილი გამოაქვეყნა Filmculture-ში ბიოგრაფიულ ინტერვიუსთან ერთად, რომელიც მან კულეშოვს მოსკოვში 1965 წლის 25, 26 და 29 ივლისს ჩამოართვა.
- 35 ციტატა: Walter Dadek, Das Filmmedium. Zur Begründung einer allgemeinen Filmtheorie, München, Basel 1968, S. 148. ეს ადგილი ითარგმნა წიგნიდან: Jay Leyda, Kino. A History of the Russian and Soviet Film, London, Boston, Sydney 1983 (1960), S. 164.

- 36 ციტატა: Jay Leyda, *Kino. A History of the Russian and Soviet Film*, London, Boston, Sydney 1983 (1960), S. 164 f.
- 37 ციტატა: Steven P. Hill, დასახ. ნაშრომი, გვ 8. ამ ექსპერიმენტის შესახებ უკვე ‘სალიტერატურო ლეგენდებიც’ კი (დადეკი) შეიმნა და დაწერა. კულეშოვი თავად იძლევა ნინაალმდეგობრივ მონაცემებს. ჰილთან ინტერვიუში ექსპერიმენტს იგი 1917/18 წლებით ათარიღებს. ჰილი კი ამის შესახებ წერს: „შეიძლება, ეს ნაადრევია, რადგან კულეშოვი მას (ექსპერიმენტს, ჰ.პ.) 1920 წლის გაზაფხულით ათარიღებს“. ლეიდასთან (დასახ. ნაშრ., გვ. 165) ვკითხულობთ, რომ კულეშოვი ექსპერიმენტების თარიღიად 1923 წელს ასახელებს. ამას ენინაალმდეგება ის, რომ კულეშოვმა ისინი უკვე 1922 წელს უურნალი „კინოფოტის“ მესამე ნომერში განიხილა. თარიღების არეულდარეულობა შესაძლოა რუსული რევოლუციის შემდეგ იულიანურიდან გრეგორიანულ კალენდარზე გადასვლას უკავშირდებოდეს, რის გამოც ხშირად იმ დროს მცხოვრებთათვის 1918-1923 წლების ზუსტი თარიღების რეტროსპექტული დაფიქსირება სირთულეს ნარმოადგენს.
- 38 ციტატა: Leyda, დასახ. ნაშრ., გვ. 65. კულეშოვის ცდები მოგვიანებით სხვადასხვაგვარი ექსპერიმენტებით განავითარეს, რომლებიც ჰანს ბელერის მიერ გამოცემული წიგნის მომდევნო თავებშია აღნერილი, იხ. შენ. 1.
- 39 მაგ. Bordwell et al., in: *The Classical Hollywood Cinema*. a.a. O., S 210f.
- 40 იხ. აგრეთვე Karl-Dietmar Möller, Auszüge aus einer Geschichte der Parallelmontage, in: Aspekte einer wirkungsbezogenen Filmdramaturgie. Die Oberhausener Filmgespräche 1980-1982, hrsg. von Thomas Kuchenbuch u. a., Oberhausen 1982, S. 90-103.

საგას სხვა გამოცემები:

ვალტერ ბენიამინი – ხელოვნების ნიმუში მისი
ტექნიკური რეაროდუცირებადობის ეპოქაში.
ისტორიის ცნების შესახებ

მეითხველს პირველად ეძღვევა საშუალება გაეც-
ნოს ქართულ ენაზე ცნობილი ფილოსოფოსისა და
კულტურის მკულევრის, ვალტერ ბენიამინის (1892-
1940), ორ ნაშრომს: „ხელოვნების ნიმუში მისი ტექ-
ნიკური რეპროდუცირებადობის ეპოქაში“ (1935-36)
და „ისტორიის ცნების შესახებ“ (1940).



პირველი წერილი ხე-
ლოვნების ნიმუშის „აუ-
რის“ დაკარგვის ახსნას
გვთავაზობს. მან განსა-
კუთრებული აქტუალუ-
რობა შეიძინა 60-იან
წლებში, როცა იქცა
მოწოდებად, ხელოვნე-
ბა გამოეყენებინათ სო-
ციალურ-პოლიტიკური
ემანსიპაციის მიზნით.
თეზისები „ისტორიის
ცნების შესახებ“ აჯამე-
ბს ავტორის თანამედ-
როვე პერიოდის ბჭო-
ბას ისტორიული მა-
ტერიალიზმის დანიშ-
ნულებაზე.

ფსიქიატრიასთან გამოცდილების მქონე პირთა გერმანული ასოციაცია – რჩევები და ხერხები – როგორ ვართოთ „პეშლილ-ობა“?

„მეგზური“ განკუთვნილია ფსიქიატრიასთან გამოცდილების მქონე ადამიანებისა და მათი ახლობლებისათვის, რომლებიც კრიზისის დროს და მის შემდეგ მხარში უდგანან ამ პიროვნებებს. აქ მოცემული რჩევები საშუალებას გვაძლევს ინდივიდუალურად და შინაურულად მოვეკიდოთ ამ მდგომარეობას; გვეხმარება, შეძლებისდაგვარად ფსიქოტროპული წამლების გარეშე, ორგანიზმისადმი ზიანის მიყენების გვერდის ავლით, მოვლენების მართვასა და მყუდროებისა და სტაბილურობის მოპოვებაში.

რჩევები და ხერხები – როგორ ვართოთ „პეშლილ-ობა“?




ტექსტს ახლავს ფსიქიატრ თემურ იოსებაძის ბოლოსიტყვაობა და დამხმარე ორგანიზაციების საკონტაქტო ინფორმაცია.



Bpo

რეზო კვესელავა – მოგონებები ძართველ კინე- მატორაცისტებზე

ქართველი კინოდრამატურგის რეზო კვესელავას სამე-
მუარო წერილების კრებულში „მოგონებები ქართველ
კინემატოგრაფისტებზე“ ავტორი იხსენებს: თენიგიზ
აბულაძეს, აკაკი ბაქრაძეს, სულიკო ჟღენტს, მიხეილ
კვესელავას, მიხეილ კობახიძეს, კოტე მიქაბერიძეს,
ალექსანდრე რეხვიაშვილს, სერგო ფარაჯანოვს, ოთარ
იოსელიანს, დორე ხინთიბიძესა და სხვებს.




გამოცემაში წარმოდ-
გენელია ქართველ კი-
ნემატოგრაფისტთა
უნიკალური ფოტო-
ები ავტორის პირადი
არქივიდან და კინო-
სტუდია „ქართული ფი-
ლმის“ ორასამდე თა-
ნამშრომლის მოკლე
ბიოგრაფიული მონა-
ცემები.



საქართველოს კინემატოგრაფიის
მინისტრის მიერ
GEORGIAN NATIONAL FILM CENTER
საქართველოს კინემატოგრაფიის მინისტრის მიერ

აკა მორჩილაძე – პაგდატა ინ ჯორჯია

ცალკე გამოცემის სახით პირველად იბეჭდება თანამე-დროვე ქართველი მწერლის, აკა მორჩილაძის, ესეის-ტური ტექსტები: „კაგდატა ინ ჯორჯია“ (2008) და „პი-რადი ენციკლოპედია“ (2007).



მალე საგასაგან:

- საბჭოთა ავანგარდისტის, კინოდოკუმენტალისტის და დოკუმენტური კინოს თეორეტიკოსის **ძიგა ვერტოვის** ტექსტების კრებული: ადამიანი პინოა-პარატიტ (მანიფესტი, სტატიები, სასცენარო ვარიანტები); დევი დუმბაძის შესავალ წერილთან ერთად: „არასაალბათო თვალის პოეზია – „კინოგლაზის“ კონცეფცია ძიგა ვერტოვის ფილმში „ადამიანი კინოაპარატით“.

იკითხეთ წიგნის მაღაზიებში
დამატებითი ინფორმაცია: www.sa-ga.org